საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილისქ., №35 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №05

ქ. ბათუმი **12 სექტემბერი, 2016 წ.**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N2 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე-10 მუხლის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს N68 დადგენილების, ამავე საბჭოს 2016 წლის 9 სექტემბრის №7 ოქმის, ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (09/09/2016, MES 116 01051008) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 24 ოქტომბრის N2 გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) ფაკულტეტის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ფაკულტეტი შედგება შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) ეთიკის კომიტეტი;
ბ) კურიკულუმის კომიტეტი;
გ) ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი;
დ) გეოგრაფიის დარგობრივი დეპარტამენტი;

ე) ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტი;
ვ) საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მტკიცებითი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი;
ზ) კლინიკური მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი:
თ) სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი;
ი) სტომატოლოგიური კლინიკა;
კ) სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი;
ლ) დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრი;
მ) ნეირომეცნიერების ცენტრი;
ნ) იმუნოგენეტიკის ლაბორატორია;
ო) ბიოტექნოლოგიის ლაბორატორია.“

ბ) ფაკულტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, 3. ფაკულტეტის დარგობრივი დეპარტამენტებია:

ა) ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი;
ბ) გეოგრაფიის დარგობრივი დეპარტამენტი;
გ) ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტი;
დ) საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მტკიცებითი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი;
ე) კლინიკური მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი:
ვ) სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი.“

2. გადაწყვეტილება დაეგზავნოს შესაბამის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს, მაგისტრატურის, რეზიდენტურისა და დოქტორანტურის მართვის სამსახურს და კანცელარიას.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**